სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

დადგენილება №01-05-04/136

ქ. თბილისი

28 ოქტომბერი 2026წ

საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიცირებული სახით დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“, სამშენებლო ფაკულტეტის დეკანის მოხსენებითი ბარათის, ფაკულტეტის 2026 წლის 12 ოქტომბრის საბჭოს სხდომის №12ოქმის და აკადემიური საბჭოს 2026 წლის 28 ოქტომბრის №01-05-02/15 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. მოდიფიცირებული სახით დამტკიცდეს შემდეგი საგანმანათლებლო პროგრამები:
   1.1. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა “მშენებლობა“;
   1.2. ბაკალავრიატის რუსულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა „მშენებლობა“;

2. წინამდებარე დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**